



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო  
საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 144/ს  
31/03/2023

144-21-4-202303311424



**გორის მუნიციპალიტეტში, მეჯვრისხევის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, წელიწადში 150 000 მ<sup>3</sup> მიწისქვეშა მტკნარი წყლის სამეწარმეო მიზნით მოპოვებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ**

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ, გზმ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია გორის მუნიციპალიტეტში, მეჯვრისხევის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, 150 000 მ<sup>3</sup> მიწისქვეშა მტკნარი წყლის სამეწარმეო მიზნით მოპოვების სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სალიცენზიო ობიექტი (ერთი ჭაბურღილი) მდებარეობს გორის მუნიციპალიტეტში, მეჯვრისხევის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, სოფ. ზერტის მიმდებარედ, შპს „ვაშლის აგრობადების“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე. წიაღითსარგებლობის ობიექტის ფართობია 0,07 ჰა, ხოლო GPS კოორდინატები: X- 434176.80, Y- 4657088.33. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ უახლოესი დასახლებული პუნქტი, სოფ. კვარხითი წიაღითსარგებლობის ობიექტიდან დაშორებულია დაახლოებით 12 კმ-ით.

სკრინინგის განცხადების თანახმად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში გათვალისწინებულია არსებული ჭაბურღილიდან წელიწადში 150 000 მ<sup>3</sup> მიწისქვეშა მტკნარი წყლის სამეწარმეო მიზნით მოპოვება და ლიცენზიის გაცემის ვადად განსაზღვრულია 25 წელი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ჰიდროგეოლოგიური დარაიონების თვალსაზრისით, წიაღითსარგებლობის ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება ფოროვანი, ნაპრალოური და ნაპრალოურ-კარსტული წყლების ქართლის არტეზიულ აუზს. წყალშემცველი ჰორიზონტი მოცემულია შუა და ზედა მეოთხეულის ალუვიურ-პროლუვიური ნალექების გრუნტის და წნევიანი წყლების წყალშემცველი კომპლექსით, რომელსაც ფართო გავრცელება აქვს მუხრან-ტირიფონის ფარგლებში და წარმოდგენილია სუსტად შეცემენტებული ქვარგვალეზიანი კონგლომერატებით, თიხების შუაშრებით, ლინზებითა და თიხებით. კონგლომერატის ცემენტი ძირითადად ქვიშიანი და წყალშეღწევადია. ნალექების სიმძლავრე აღემატება 120 მეტრს.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, მორფოლოგიური თვალსაზრისით, ჭაბურღილი მდებარეობს ვაკე რელიეფის მქონე ტერიტორიაზე. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, სალიცენზიო ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივი)

სირთულის კატეგორიას. წიაღითსარგებლობის ობიექტის გეოდინამიკური სიტუაცია სტაბილურია და ექსპლუატაციის ეტაპზე გართულებები მოსალოდნელი არ არის.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, სალიცენზიო ობიექტის ტერიტორია შესწავლილია კომპლექსური ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური აგეგმვის მიზნით. ჭაბურღილის სავარაუდო სიღრმე შეადგენს 80 მეტრს. წიაღითსარგებლობის ობიექტის ზუსტი დებიტი უცნობია, თუმცა, ჰორიზონტის წყალშემცველობის ხარისხის გათვალისწინებით, ჭაბურღილიდან წელიწადში 150 000 მ<sup>3</sup> მიწისქვეშა მტკნარი წყლის მიღება შესაძლებელია. საექსპლუატაციო მარაგი დამტკიცებული არ არის და წარმოდგენილია P (პროგნოზული) კატეგორიით. მოპოვებული წყლის გამოყენება მოხდება სამეწარმეო დანიშნულებით.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ქიმიური შედგენილობით, წყლები ხასიათდება ცვალებადობით. ძირითადად გვხვდება ჰიდროკარბონატული, კალციუმიან-ნატრიუმიანი ან ჰიდროკარბონატულ-სულფატური, ხშირად შერეული, კათიონური შედგენილობის წყლები, საერთო მინერალიზაციით 1 გ/ლ-მდე. მიწისქვეშა წყლების ტემპერატურა შეადგენს 10-13°C-ს და მათი სანიტარული მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, არსებული სალიცენზიო ობიექტი საჭიროებს მხოლოდ თავმორთულობის მოწესრიგებას, მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავებას და შემოღობვას, რის შემდგომაც ჭაბურღილიდან წყლის მოპოვება დასაშვებია. ვინაიდან წიაღითსარგებლობის ობიექტი უკვე მოწყობილია და არსებული ჭაბურღილი საჭიროებს მხოლოდ თავმორთულობის მოწესრიგებას, საქმიანობის განხორციელება არ იქნება დაკავშირებული სამშენებლო სამუშაოების განხორციელებასთან, ახალი ტერიტორიის ათვისებასთან და გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე ზემოქმედებასთან.

სკრინინგის განცხადების თანახმად, სალიცენზიო ობიექტი არ მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, დაცული ტერიტორიების და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში ნარჩენების წარმოქმნა, ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და მცენარეულ საფარზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, ჭაბურღილიდან მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება არ იქნება დაკავშირებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელ, ასევე, კუმულაციურ ზემოქმედებასთან.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ბუნებრივი რესურსებიდან გამოყენებული იქნება წყალი. წიაღით (წყლით) სარგებლობის სალიცენზიო პირობების განხორციელებით, რომელსაც ადგენს ლიცენზიის გამცემი ორგანო, დაგეგმილი საქმიანობა არ გამოიწვევს წყლის გარემოს დაბინძურებას.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება განთავსდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და გადაიგზავნა გორის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის მე-2 პუნქტის 2.2 ქვეპუნქტის საფუძველზე,

#### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ გორის მუნიციპალიტეტში, მეჯვრისხევის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, წელიწადში 150 000 მ<sup>3</sup> მიწისქვეშა მტკნარი წყლის სამეწარმეო მიზნით მოპოვება არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და გორის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო